

დავით ასლანიშვილი,

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

რატომ უშლის ხელს საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას საბანკო ოლიგოპოლია?

რა არის საბანკო ოლიგოპოლია - საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს განვითარებული და ნაკლებად განვითარებული კონკურენტული ბაზარი.

განვითარებული კონკურენტული ბაზარი ეს არის მიზანსწრაფვა და ოპტიმალური ვითარება, სადაც არის მრავალი ბაზრის მონაწილე, იოლია ბაზარზე შესვლა და გასვლა, ფასები არის საბაზრო და სამართლიანი. რაც მთავარია მოხმარებელი არ გრძნობს თავს მოტყუებულად რაიმე ნივთის თუ მომსახურების შეძენისას.

რაც შეეხება ნაკლებად განვითარებულ კონკურენტულ ბაზარს - ეს არის ვითარება, როდესაც ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ რამოდენიმე მოთამაშე (2, 3 ან 4) და მათ ხელეწიფებათ ბაზრის კონტროლი. ბაზარზე მოქმედება გართულებულია. წვრილი და საშუალო მოთამაშეები ადვილად ვერ შედიან ბაზარზე ან იძულებული არიან დატოვონ ბაზარი არასამართლიანი კონკურენტული გარემოს გამო. მათ გააჩნიათ მთლიანი ბაზრის საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი (20 % , 30 თუ მეტი). ეს უადვილებს მათ ერთმანეთთან შეთანხმებით, ან შეთანხმების გარეშე, მაგრამ მათთვის საერთო (ანუ პირადი) კეთილდღეობის მისაღწევად მიიღონ მოგების მაქსიმალური ოდენობა კონკრეტულ ბაზარზე.

ეს კი სამწუხაროდ და როგორც წესი ჩვენი, ანუ მომხმარებლების ხარჯზე (ჯიბეზე ზეწოლით) ხორციელდება - საკმაოდ ძვირი საფინანსო რესურსის მიწოდება მომხმარებელზე ან კონკრეტულ საქონელზე საბაზრო ფასთან შედარებით მკვეთრად გაზრდილი ფასი თუ მომსახურება. ეს კი არაადეკვატურ მომსახურებაში (დაბალი ხარისხი) და არასამართლიან ფასებში და ბიზნესგარემოში ვლინდება. მოსახლეობას კი არ აქვს საშუალება და ალტერნატიული არჩევანი და იძულებულია ოლიგოპოლიის მიერ დაწესებული ფასებით და მომსახურებით ისარგებლოს.

ფაქტიურად ოლიგოპოლია ეს არის მდგომარეობა ბაზარზე, სადაც რამოდენიმე მოთამაშეს (და არა მრავალი) შეუძლია თავისი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე გადაწყვიტოს თუ რა ფასი დაადოს მის მიერ არაკონკურენტულ გარემოში წარმოებულ პროდუქტს და მომსახურებას (რომელიც როგორც წესი მრავალჯერ აღემატება საერთაშორისო სტანდარტს). ასევე პირიქით - შეუძლია დემპინგური (ძალიან დაბალი ფასი) დაადოს საკუთარ პროდუქტს, თუ სურს კონკურენტის ბაზრიდან გამეფება, რასაც ოლიგოპოლიური დემპინგური ომი ეწოდება. მიზანი მარტივია - კონკურენტის (ების) ჩამოშორება და მონოპოლიისკენ სწრაფვა, რაც შემდგომში პროდუქციაზე ასტრონომიული ფასის დადებაში გამოიხატება და დემპინგურ ომში განცდილ ზარალს „გამარჯვებული“ ოლიგოპოლია საკმაოდ დიდ მოგებისა და ფასნამატის ხარჯზე იოლად ამოიღებს.

ამ მხრივ ოლიგოპოლიურ წესებზე ვერ და არ მომუშავე სტრუქტურა არის „გაგდებული“ ბაზრიდან“ და ბაზარს ეპატრონება ოლიგოპოლიურ მართვაში შემავალი ერთეულები. ამის მაგალითები საფინანსო ბაზარზე საქართველოშიც გვქონია - საქართველოს საფინანსო ბაზარს ბოლომდე გაუგებარი მიზეზით დატოვა მსოფლიო საფინანსო გიგანტებმა - ინგლისური მსოფლიო გიგანტი - HSBC, ფრანგული გლობალური საფინანსო ჯგუფი - სოსიეტე ჟენერალი. მკვეთრად შეამცირა ფართოდ გაშლილი ბიზნეს საქმიანობა პროკრედიტბანკმა. გერმანიის უმსხვილესმა - დოიჩე ბანკმა - წარმომადგენლობის იქეთ, რომელიც გააჩნდა საქართველოში, არც კი დააპირა ბიზნეს საქმიანობის გაფართოება. წარმომადგენლობაც დახურა და გავიდა ქვეყნიდან.

რა გვაქვს ამის შედეგად? - კარჩაკეტილობა, ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედებს (დარჩა) მხოლოდ ის რამნოდენიმე ჯგუფი, რომელიც არ აძლევს საშუალებას მომხმარებელს, რომ ისესხოს რესურსი ისეთ პროცენტში, როგორცაა ევროპაში, აშშ-ში, იაპონიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში (საუბარია წლიურ 1 ან 2 პროცენტთან გრძელვადიან 10 – 15-20 წლიან სესხებზე). აღარაფერს ვამობ რიგ ანომალიად ქცეულ ვითარებაზე (მაგ. დანიაში), სადაც სესხზე და დეპოზიტზე რიგ შემთხვევაში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა (ანუ აბრუნებთ იმაზე ნაკლებს, რაც ისესხეთ, თუმცა დეპოზიტზეც იგივე ვითარებაა).

რა ხდება ჩვენს სინამდვილეში? საპროცენტო განაკვეთი არის საკმაოდ ძვირი - როგორც აშშ დოლარში, ასევე ლარში. ამ მხრივ ლარიზაციის პროგრამა საკმაოდ კარგი წამოწყებაა, თუმცა ჯერ ჯერობით საპროცენტო განაკვეთი გვაქვს საკმაოდ ძვირი და სესხის სახეობიდან გამომდინარე ის შეიძლება იყოს (ლარში) 10, 15, 20 და 30 პროცენტი წლიურიც კი.

ფაქტიურად ჩვენ საერთაშორისო განვითარებულ ბაზრებთან შედარებით 10 ჯერ, 12 ჯერ უფრო ძვირად ვსესხულობთ რესურსს.

მეორე ქმედება, რასაც ახორციელებს საქართველოს სინამდვილეში საბანკო ოლიგოპოლია ეს არის ალტერნატიული საფინანსო რესურსის სრული კონტროლი, ანუ კაპიტალის ბაზრის კონტროლი. ანუ ეს არის ვითარება, როდესაც არ მინდა კომერციული ბანკის სესხი და მაქვს ბიზნეს იდეა.

წარმოიდგინეთ რომ გაქვთ ცუკერბერგის, ჯობსის თუ გეიტსის სტილის რაიმე იდეა, ხართ სტუდენტი, ან დიასახლისი, არ გაქვთ გირაოში ჩასადები საგანი, გაქვთ სტარტაპი და თვლით, რომ ჩემი გამოგონება, სერვისი თუ იდეა არის საკმაოდ მომგებიანი და მას ესაჭიროება ფინანსები, ანუ ინვესტიცია, რასაც საერთაშორისო ბაზარზე კაპიტალის ბაზარი ეწოდება (საქართველოში მოქმედი სახელწმიფო პროგრამები რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუმცა ამ მხრივ სიტუაციას მასშტაბიდან გამომდინარე ვერ ჩაანაცვლებს).

საერთაშორისო ბაზარზე ამ სახის იდეებს აფინანსებს საერთო სახელის მქონე პირობითი ბრენდი - „სილიკონის დაბლობი“. რა არის სილიკონის დაბლობი? ეს არის მრავალი

საინვესტიციო - საბროკერო კომპანია, რომელიც ეძებს ასეთ იდეებს. ისინი იხილავენ მათ და თუ იდეა არის მათთვის საინტერესო - კომპანიის მდიდარი მესვეურები პირდაპირ შემოდიან ასეთი სტარტაპის წილში, ავითარებენ მას, აფინანსებენ იდეის ავტორთან ერთად. თუ გაამართლა პროექტმა - ის საკმაოდ დიდ წარმატებას მოგცემთ - ამის ნათელი მაგალითი მრავალია - ევლი, მაიკროსოფტი, ფეისბუქი და სხვა.

ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ბილ გეიტსი ყოფილიყო საქართველოს სინამდვილეში და ჰქონოდა ერთადერთი არჩევანი - კომერციული ბანკის რესურსი. ბანკში მისვლისას ბანკი მას მოუსმენდა და უკეთეს შემთხვევაში შესთავაზებდა - ჩადე გირაოში სახლი ან კარი და მოგცემთ სესხს და ვნახოთ რას და როგორ განავითარებ. ასეთ პირობებში შეუძლებელია გრძელვადიანი პროდუქტის შექმნა და კომპანიურ საწყისებზე დაფუძნებული ბიზნეს იდეის განვითარება. ასეთი ტიპის სერვისი და წინსვლა დაკავშირებულია მრავალ რისკთან, ბუნდოვანია მომავალი და თვით იდეა. ასევე უცნობია ეს იდეა მოიპოვებს კი საზოგადოების და მომხმარებლის ნდობას და მხარდაჭერას. ეს რისკები ბანკისთვის ცნობილია და სესხის გაცემით ეს იდეა უკვე განწირულია.

ასეთი დაფინანსების ინსტრუმენტი არის კაპიტალის ბაზარი ანუ საფონდო ბირჟა, მაგრამ საქართველოში ეს ბაზარი არ არსებობს.

რატომ და რა მიზეზით?

კომერციულმა ბანკებმა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომელიც სათავეს 2006 წელს იღებს და დღემდე გრძელდება მოიპოვეს უფლება არაპროფილური საქმიანობის წარმოების და პირველი რაც განახორციელეს - შეიძინეს საფონდო ბირჟა.

რა თქმა უნდა, მოგების მაქსიმიზაციის კუთხით კომერციულმა ბანკებმა საკმაოდ ჰკვიანური ნაბიჯი გადადგეს - შესაბამისად დღეის მდგომარეობით საფონდო ბირჟის 60% არის რამოდენიმე კომერციული ბანკის ხელში, სრულად აკონტროლებენ საშუამავლო რგოლს, ანუ საბროკერო კომპანიებს. საბროკერო კომპანია განვითარების ეტაპზე ხდება საინვესტიციო ბანკი, რომელიც ახორციელებს ზემოთმოყვანილ დაბანდებებს იდეების დაფინანსების კუთხით. საქართველოში კი 42 საბროკერო კომპანიიდან, რომელსაც აქვთ ეროვნული ბანკის ლიცენზია და საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის უფლება - ეხლა სახეზე დარჩა 4 თუ 5 და თითქმის ყველა კომერციული ბანკის ფილიალია.

სად წავიდა დანარჩენი საბროკერო კომპანია? ჯერ ეროვნული ბანკის წინა მენეჯმენტმა სულ რამოდენიმე თვეში სხვადასხვა ზეწოლის შედეგად ელემენტარულად აიძულა ლიცენზიის ჩაბარება.

რა გვაქვს შედეგად? თუ გაქვთ ბიზნეს იდეა და გსურთ მისი დაფინანსება ამ მხრივ სულერთია - მიხვალთ კომერციულ ბანკზე სესხის მისაღებად, თუ ბუტაფორია ქვეულ

საფონდო ბირჟაზე, სადაც კვლავ კომერციული ბანკი და მისი ფილიალების დაგზვდებათ. ანუ გაქვთ მხოლოდ კომერციული საბანკო სესხის შესაძლებლობა

სტატისტიკაც ამაზე მოწმობს - საფონდო ბირჟაზე განხორციელებული ემისიები და ბრუნვა ფიქსირდება მხოლოდ კომერციული ბანკის აქციებზე ან მათ დაქვემდებარებაში თუ დამოკიდებულებაში მყოფ რიგ შვილობილ ორგანიზაციებში.

აქედან კი მორიგი სავალალო შედეგი - საქართველოს მოსახლეობის უნარ ჩვევების და ბიზნეს იდეის დაფინანსება სამწუხაროდ ვერ და არ ხდება.

თანამედროვე მსოფლიოში გარდა ტრადიციული კაპიტალის ბაზრისა, ფეხი მოიკიდა ახალმა ტენდენციამ, რომელიც ხელს შეუწყობს ოლიგოპოლიის დაშლას და დაფინანსების ახალი წყაროების გამოჩენას. ეს არის კრაუდფანდინგი და კრაუდლენდინგი.

რომ ავხსნა ტექნოლოგია ის შემდეგია - არ მინდა არც ბირჟა და არც კომერციული ბანკი. მაქვს იდეა და ამ იდეას ვაზიარებ ელექტრონულ პლატფორმაში, სადაც მრავალი ათასი ფიზიკური და იურიდიული პირია თავმოყრილი (მაგ. LendingClub, Zopa, indiegogo, crowdfunder და სხვა) - საუბარია ფეისბუქის მაგვარ სოციუმზე, სადაც შესაძლებელია რეალურ დროში თქვენი სტარტაპის თუ ბიზნეს იდეის ხორცშესხმა (ანუ დაფინანსება).

მაგალითად გსურთ პიცერიის (სახაჭურეს) გახსნა ან გაფართოება. ახორციელებთ ამ იდეისთვის საჭირო ნაბიჯების აღწერას (რესურსი, ადგილი, მდებარეობა, მოკლე ბიზნესგეგმა). ვთქვათ საუბარია 15000 ლარზე. ამ მხრივ ელექტრონულ პლატფორმაზე მყოფი ნებისმიერი მსურველი, ვინც დაინტერესდება ამ იდეით აქვს შესაძლებლობა იქნება ეს 5 ლარი თუ 10 ლარი დააბანდოს თქვენს ამ იდეა - საწარმოში. ანუ ხდებით მისი პირდაპირი მეწილე. რა თქმა უნდა, ბიზნესი რისკია და სტარტაპი განსაკუთრებით, საკმაოდ სარისკოა და შესაძლოა ან მოიგოთ ან ამ წამოწყებამ ზარალი მოიტანოს. წარმატების შემთხვევაში თქვენი წილის (აქციის) ფასი ბაზარზე გაიზრდება და გექნებათ მომავალში დივიდენდის მიღების შესაძლებლობა. ზარალის შემთხვევაში რა თქმა უნდა ეს მცირე ინვესტიცია ამონაგებს ან ვერ მოგცემთ ან ამას მეტი დრო დაჭირდება.

ეს ბიზნეს მოდელი ბოლო რამოდენიმე წელია აქტიურად ვითარდება აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში და არა მარტო. მაგალითად, დაფინანსების ეს მეთოდი რუმინეთში და უკრაინაშიც საკმაოდ გავრცელებულია.

სამწუხაროდ, საქართველოში ეს მიმართულება საერთოდ არ არის განვითარებული.

რა უშლია ამას ხელს? - ბიუროკრატია და საკანონმდებლო სივრცე.

ჩვენი კანონმდებლობით, თუ თქვენ უშვებთ საჯარო ფასიან ქაღალდს, ან იქცევით როგორცფასიანი ქაღალდების შუამავალი ბროკერი, თქვენ ვალდებული ხართ აიღოთ

ეროვნული ბანკისგან ლიცენზია, გახდეთ ლიცენზირებული ბროკერი, იქონიოთ კაპიტალი 500.000 ლარის ოდენობით და ფაქტობრივად საბანკო ოლიგოპოლიის მარწუხებში ებმევით.

არც კანონმდებლობა უწყობს ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა, არანაირი ცვლილება საბანკო ოლიგოპოლიის უფლებების შეზღუდვის კუთხით არ ხორციელდება.

ადგილი აქვს მხოლოდ ბაზრის მონაწილეთა შემდგომ შეზღუდვას, გამსხვილებას და ისეთი საკანონმდებლო სივრცის შემქნა/მორგება, რომელიც ოლიგოპოლიის ინტერესებში შედის.

ეს ვითარება არ ახასიათებს საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ ფინანსურ სფეროს. ანალოგიური ვითარებაა სხვა დარგებშიც. მაგრამ! ფინანსური სისტემა არის ეკონომიკის „სისხლ - ძარღვთა სისტემა“, რომელზეც ფაქტიურად მიჯაჭვულია მთელი რეალური ეკონომიკა. ანუ თუ ფინანსურ სისტემაში გვაქვს ეს „დაავადება“, ანუ ოლიგოპოლია - ის თავის დაღს ამჩნევს ეკონომიკის სხვა დარგს. ამიტომაც მსგავსი ვითარება ენერგობაზარზე, მშენებლობაში, ფარმაციის თუ საკვები პროდუქტების ბაზრის მიმართულებით.

ფაქტიურად საქართველოს ეკონომიკა დაფუძნებულია „კარტელურ გარიგებათა სისტემაზე“. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და სხვადასხვა დარგში არის ეგ პრობლემა, თუმცა განვითარებული კონკურენტული ბაზრის მოქმე ქვეყნებში ეს საკითხი ადვილად მოგვარებადია (აქ არ არის საუბარი ე.წ. ბუნებრივ მონოპოლიებზე).

რა არის საქართველოში სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიზეზი? ხშირად სახელდება ისეთი მოსაზრება, რომ ქვეყნის არასტაბილური გარემო, რისკ ფაქტორები, კონფლიქტები არის გამომწვევი მიზეზი ამ ოლიგოპოლიური ვიტარების ანუ ბაზარზე დაბალი კონკურენციის. რა თქმა უნდა, ეს ნეგატიური ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე და ეკონომიკაზე.

ამასთანავე, ამ ფაქტორების მიუხედავად ოლიგოპოლიურ დარგებში წლიური მომგებიანობა საოცრად მაღალია და ის მრავალჯერ აღემატება საერთაშორისო სტანდარტს. ეს იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკის ზრდა 3-5 პროცენტის ტოლფასია. თუმცა მსოფლიოში მრავლად მოიპოვება წარმატებული მაგალითები, როდესაც მრავალი ასეთი და უფრო რთული გარემო ფაქტორების ფონზე ესა თუ ის ქვეყანა აღწევს საოცარ წარმატებას - მაგალითად მუდმივ ომში მყოფი სამხრეთ კორეა (ჩრდილოეთ კორეის გამო), ტაივანი (ჩინეთთან დამაბულობის ფონზე), ისრაელი (მუდმივი ომები და დამაბულობა არაბულ სამყაროსთან).

რა თქმა უნდა არის წარუმატებელი მაგალითები, როგორცაა სამწუხაროდ საქართველო. ანუ ეს ფაქტორი რა თქმა უნდა მოქმედებს უარყოფითად, თუმცა ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ ამ ფაქტორებს არა აქვს გადამწყვეტი ნეგატიური როლი

ეკონომიკურ აღმავლობის საქმეში. ანუ ჩვენი ამოცანაა გავერკვეთ ჩვენთან რა ხდება? რა სპეციფიკური მიზეზი (ები) განაპირობებს ქვეყნის ჩამორჩენილობას?

საბოლოო ჯამში მივდივართ ქვეყნის მართვის სისტემასთან, რომელმაც უზრუნველყო ეკონომიკური წარმატება რიგ ქვეყანაში და ხელი შეუშალა ამ პროცესს საქართველოში და რიგ სხვა ქვეყანაში.

არის თუ არა ინტერესთა კონფლიქტი საქართველოში კომერციულ ბანკსა და ბიზნესს შორის? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკი ესეც ბიზნესია. არის ერთი მთავარი განსხვავება რის გამოც კომერციული ბანკი ცალკე გამოიყოფა.

კომერციული ბანკი, განსხვავებით თუნდაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, აღარაფერს ვამბობ სამშენებლო თუ სავაჭრო კომპანიებზე - წარმოადგენს სადეპოზიტო - შემნახველ დაწესებულებას.

ეს კი ნიშნავს, რომ კომერციული ბანკის ლიცენზიის მქონე სტრუქტურას (და მხოლოდ მას) შეუძლია შეუზღუდავი ოდენობით მოიზიდოს რესურსი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან (ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის).

ამას ვერ განახორციელებს (ასეთი ფართო გზით) სხვა ბიზნეს ერთეულები, მათ შორის ფინანსური ბაზრის სხვა მონაწილეებიც - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. აღარაფერს ვამბობ სამშენებლო თუ სავაჭრო კომპანიებზე.

რა გზა რჩება სხვა ბიზნესს რესურსის მოზიდვის კუთხით? კომერციული ბანკისგან სესხის გარდა ეს არის ფასიანი ქაღალდების გამოშვება (აქციები და ობლიგაციები) და მათი განთავსების გზით რესურსის მოძიება.

მაგრამ! საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი კომერციული ბანკების ხელშია....

ამიტომ, როდესაც საბანკო სტრუქტურა პირდაპირ, თუ მისი მსხვილი მეწილე, თუ ინსაიდერი, ოჯახის წევრი ან აფილირებული სტრუქტურა (იქნება ეს შპს, თუ სააქციო საზოგადოება) - შედის რომელიმე არასაბანკო სფეროში, იქნება ეს ვაჭრობა, დაზღვევა, მშენებლობა თუ სხვა - მასთან კონკურენციას ვერ უძლებს იქ მოღვაწე კომპანიები.

აქ საუბარი არ არის ამ სტრუქტურების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხზე - რა თქმა უნდა, მათ მიერ მოღვაწე კომპანიები საკმაოდ ხარისხიან პროდუქტს თუ სახლს გვთავაზობს, მაგრამ თუ თქვენ მაგალითად ხართ წარმატებული და ძლიერი სავაჭრო ობიექტის თუ სამშენებლო კომპანიის მესაკუთრე, თქვენ უკვე ბრძოლა წაგებული გაქვთ.

იმიტომ რომ, თქვენ ებმევით ბრძოლაში (ძალაუნებურად) სტრუქტურასთან, რომლის ფინანსური რესურსი არის შეუზღუდავი და ის რესურს კიდევ უფრო გაზრდის, რომ თქვენს ბიზნესში ადგილი და წონა განიმტკიცოს.

რა თქმა უნდა საბანკო სტრუქტურასთან დაკავშირებული ბიზნესი იმიტომ შემოდის თქვენს დარგში, რომ მის აქციონერებს და კრედიტორებს სუთ მეტი მოგება და შემოსავალი. კომერციული ბანკის მენეჯმენტი (როგორც ნებისმიერი კერძო კომპანიის მენეჯმენტი ამ შემთხვევაში) ცდილობს შეასრულოს მესაკუთრეების დავალება და მათ მეტი მოგება და შემოსავალი მოუტანოს.

ამ მხრივ კომერციული ბანკი უყურებს ამა თუ იმ დარგში მოქმედ კომპანიას არა როგორც კონკურენტს, არამედ ის ფართო გაგებით უყურებს ამ დარგს, სადაც მას შესაძლებლად მიაჩნია მეტი წილის ხელში ჩაგდება და მეტი შემოსავლის მიღება, რაც მენეჯმენტის ანაზღაურებაზეც აისახება.

სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? ეს მარტივია - საკანონმდებლო ცვლილება, რასაც ესაჭიროება პოლიტიკური ნება.

ჩვენ გვექონდა 90 იან წლებში საკმაოდ კარგი საკანონმდებლო აკრძალვები, რასაც საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებდა. ამ კანონების ზოგადი სახელია „გლასისა და სტიგალის კანონები“, რომელიც აშშ-ში მიიღეს გასული საუკუნის 30 აინ წლებში და ეს კანონი უკრძალავდა კომერციულ ბანკს მისი რესურსის (დეპოზიტარების ფულის) არასაბანკო სფეროს დარგში დაბანდებას.

ასევე აკრძალვა ჰგულისხმობს, რომ კომერციულ ბანკს თვითონ, კომერციული ბანკის მსხვილ და ზეგავლენის მქონე მეწილეს (5 % წილის და მეტის მფლობელს), მათი ოჯახის წევრებს და დაკავშირებულ კომპანიებს ეკრძალებოდათ არასაბანკო დარგში მოღვაწეობა.

აქ არ არის საუბარი კომერციული ბანკების წვრილ აქციონერებზე - იქნება ეს 100 თუ 1000 აქცია ან მეტი - მთავარია წილობრივი ზღვარი.

თუ რომელიმე კომერციული ბანკის მსხვილ მეწილეს სურდა სხვა ბიზნესით დაკავება - მან უნდა გაყიდოს მსხვილი წილი კომერციულ ბანკში და შეუძლია თავისუფლად დაკავდეს სხვა ბიზნეს საქმიანობით.

ეს კანონი სამწუხაროდ წინა ხელისუფლების დროს იქნა შეცვლილი, რაც ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ქართული ფენომენი იყო. ამ აკრძალვის გაუქმების ავტორია აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რომელმაც 1999 წელს უბრალოდ გააუქმა დე ფაქტო გლასს - სტიგალის კანონი და კომერციულ ბანკებს თუ ჰოლდინგური ტიპის შუამავლებს (ანუ კომპანია, რომელიც ფლობს მსხვილ წილს კომერციულ ბანკში და ასევე სხვა კომპანიებში) მიეცათ უფლება შეუზღუდავად მონაწილეობა მიეღოთ ეკონომიკის ყველა დარგში.

შედეგმა არ დააყოვნა - სულ რაღაც 7 წელიწადში მსოფლიოს თავს დაატყდა უმძლავრესი კრიზისი, რომელიც „დიდი რეცესიით“ არის ცნობილი და მისი რეციდივი დღემდე არ მოგვარებულა.

„გლასს - სტიგალი“-ს კანონი აღდგა ახალი მოდიფიკაციით და მასს „დოდ-ფრანკის“ კანონი დაერქვა (კონგრესმენების გვარები). მეტიც, აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია გასული საუკუნის კანონის სრულ აღდგენაზე და კომერციული ბანკებისთვის არასაბანკო სფეროში ფული დაბანდების ტაობაზე უპრეცედენტო აკრძალვაზე მუშაობს, თუმცა არა საქართველოში...

ჩვენთან კვლავ დე ფაქტო გაუქმებულია რაიმე შეზღუდვა კომერციულ ბანკებზე პირდაპირ თუ ირიბად სხვა დარგებში შესვლის თაობაზე.

როგორც დაძლია აშშ-მ და ევროპამ ეს ბოლო დიდი ფინანსურ - ეკონომიკური კრიზისი? კაპიტალიზმის ბუნების საწინააღმდეგო ნაბიჯებით - ანტიკრიზისული გეგმით, რითაც ფაქტიურად სახელმწიფომ თავსი თავზე აიღო ასობით მილიარდი გაუფასურებული ქონება (ე.წ. ტოქსიკური აქტივი), რომელიც ბანკებს ჰქონდათ შეძენილი მეანაბრეების ფულით და იყო გაუფასურებული კრიზისი (არაპროფილური აქტივები) გამო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მასიური ემისიით (აშშ-ში 10 ტრილიონი აშშ დოლარი) და ვალის აღებით მოხდა საფინანსო სისტემის გადარჩენა.

ანუ კომერციული ბანკების წარუმატებელი ბიზნეს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ეს ხვრელი (10 დან - 20 ტრილიონ აშშ დოლარამდე მსოფლიოს მასშტაბით) შეავსო სახელმწიფომ. რა იყო ეს დანაკარგი? ეს იყო მსოფლიოს მასშტაბით მეანაბრეების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები.

ამ მხრივ ძალიან დიდი როლი ითამაშა დეპოზიტების დაზღვევამ აშშ- ში და ევროპაში და სახელმწიფო ვალდებულებაც იყო ეს დეპოზიტები აენაზღაურებინა.

რა გზით განახორციელა აშშ-ში, იაპონიაში, ჩინეთში, ევროპაში და მრავალ სხვა ქვეყანაში სახელმწიფომ ამის პრაქტიკული უზრუნველყოფა? - რა თქმა უნდა მისი მონეტარული აგენტის მეშვეობით - აშშ-ში ფედერალური ბანკის, ხოლო ევროპაში ცენტრალური ბანკის მეშვეობით. ამ მექანიზმს რამოდენიმე სახეობას შორის აღსანიშნავია სადისკონტო განაკვეთი და მისი კლება აშშ-ში და რეფინანსირების სესხი და მისი ამოქმედება ევროპაში.

რა არის რეფინანსირების სესხი? ამის ასახსნელად ჯერ უმჯობესია გავიგოთ საიდან იქმნება კლასიკურად რესურსი, რომელსაც ცენტრალური ბანკი (ჩვენთან ეროვნული ბანკი) გასცემს საჭიროების მიხედვით კომერციულ ბანკებზე.

პირველ რიგში განვიხილოთ თუ რა გზით იქმნება ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მეშვეობით ეს ინსტრუმენტი. რა არის ეროვნული ბანკი - ეს არია ბანკთა ბანკი, რომლის ფუნქცია აღნიშნულ ჭრილში გამოიხატება შემდეგში. ის გასცემს კომერციულ ბანკზე საქმიანობის ლიცენზიას (აშშ-ში ამას ჩარტერი ეწოდება).

ამ ჩარტერის (ლიცენზიის) ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, რომ მოზიდული რესურსის სანაცვლოდ კომერციული ბანკი ვალდებულია გადარიცხოს ეროვნულ ბანკში ამ თანხის გარკვეული ნაწილი. ვთქვათ მოიზიდეთ 100 ლარი და ვალდებული ხართ 10 ლარი

გადაურციხოთ ეროვნულ ბანკს (ამ თანხის ოდენობა ცვალებადია ცენტრალური ბანკების მოთხოვნების შესაბამისად და ისინი ამას ფულად -საკრედიტო პოლიტიკის გატარების კუთხით საზღვრავენ). ამას ემატება კაპიტალის მინიმალური ოდენობა და სხვა.

შედეგად ყველა კომერციული ბანკიდან გადმორიცხული ეს რესურსი თავს იყრის ეროვნულ ბანკში და ეროვნულ ბანკს აქვს რა ეს რესურსი ხელთ, ლიკვიდობის გარკვეული პრობლემების (ლიკვიდობის სამართავად) არსებობისას მიაწოდოს კომერციულ ბანკს (ებს) ეს რესურსი. ეს ლიკვიდობის საკითხი არ ნიშნავს ყოველთვის პრობლემას. ის შეიძლება ეხმარებოდეს ბაზარზე შემქნილ ვითარებას. მაგალითად დიდი გარიგების, ან გადარიცხვის სწრაფი განხორციელებისას თუ კომერციულ ბანკს არა აქვს ხელთ ამ მოკლევადიანი ლიკვიდობის რესურსი ის მიმართავს ეროვნულ ბანკს და გირაოს სანაცვლოდ ღებულობს ამ მოკლევადიან (1 დან 7 დღემდე ვადის) მქონე რესურსს.

რა ხდება საქართველოს სინამდვილეში? საქართველოს გააჩნია საკუთარი ვალუტა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ეს ინსტრუმენტი, რომ გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, გავზარდოთ ექსპორტი დასაბოლოო ჯამში მივიღოთ უკეთესი კეთილდღეობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის. ანუ ამ მხრივ საქალტველოში ბრუნვაშია როგორც ადგილობრივი ვალუტა, ასევე თავისუფლად გომოიყენება აშო დოლარი, ევრო თუ სხვა ვალუტა.

ანუ კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკში მოზიდული რესურსის სანაცვლოდ, დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად რიცხავენ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტას, რამეთუ ჩვენი მოსახლეობა და ბიზნესი კომერციულ ბანკებში ანთავსებს დეპოზიტებს და სახსრებს ორივე (და მეტ) ვალუტაში.

იმის გამო, რომ სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა გამო (აღარ ჩამოვთლი, ყველას მოეხსენება) ლარში დეპოზიტები და ლარში დანაზოგის შენახვის კულტურა და ნდობა არის მკვეთრად დდაცემული, დეპოზიტების აბსოლუტური უმრავლესობა მოთავსებულია უცხოურ ვალუტაში.

ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგვაშ მყოფი 2,8 მლრდ აშშ დოლარის საერთაშორისო რეზერვში შედის კომერციული ბანკების მიერ მოზიდული მათ ანგარიშებზე რიცხული 3,6 მლრდ აშშ დოლარიდან დაახლოებით 1,3 მლრდ აშშ დოლარი. ეს 1,3 მლრდ აშშ დოლარი გადარიცხულია ეროვნულ ბანკში ამ მოთხოვნების შესაბამისად და აგრეთვე გადარიცხულია დაახლოებით 300 მლნ ლარი, რომელიც წარმოადგენს ანარიცხებს კომერციულ ბანკებში არსებული სალარე დეპოზიტების მხრივ.

ანუ ეროვნულ ბანკს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია გასცემს ლარში ეს ლარის მასა, ანუ 300 მლნ ლარი. მაგრამ! ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის რეფინანსირების სესხის მეშვეობით გაცემულია 1,7 – 2 მლრდ ლარი!

ანუ სხვაობა ეროვნულ ბანკში გადარიცხულ ლარის მასასა და ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული თანხას შორის შეადგენს 1,4 – 1,7 მლრდ ლარს, რიტაც იზრდება ფულის მასა მიმოქცევაში - ანუ ამის საერთაშორისო შესატყვისია ემისია.

მრავალჯერ იქნა გამოთქმული შეშფოთება ამ საკითხით, ასევე არაერთხელ გაჟღერდა მოთხოვნა, რომ ეროვნულმა ბანკმა განმარტოს თუ რა მიზეზით ახდენს ასეთი მასშტაბური სესხის გაცემას (სულ ლარის მასა მიმოქცევაში ამ ეტაპზე მერყეობს 6,4 დან - 6,5 მლრდ ლარამდე).

სამწუხაროდ, ეროვნული ბანკი არ განმარტავს დეტალებში თუ რა დანიშნულება აქვს ამ რეფინანსირების სესხს. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ეს სესხი (1,35 მლრდ ლარი) წარმოადგენს 1 დან 7 დღემდე ვადით გაცემულ სესხს, ანუ 7 დღის ვადის გასვლის შემდეგ საერთაშორისო პრაქტიკით (ევროპის ცენტრალური ბანკი, აშშ-ს ფედერალური ბანკი, თურქეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, უკრაინის, რუსეთის და სხვა ცენტრალური ბანკები) ეს სესხი იფარება. თუმცა არა საქართველოში, სადაც ეს სესხი უკვე პირამიდულურ ხასიათს ატარებს და კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე სტაბილურად არათუ არ იფარება, არამედ იზრდება მოცულობაში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ - აუცილებელია ამ მოვლენის დეტალური განმარტება, რასაც ეროვნული ბანკი არ ან ვერ ახდენს.

რა თქმა უნდა, გარდა ასეთი მოკლევადიანი ლიკვიდობის ინსტრუმენტისა, არსებობს უფრო გრძელვადიანი ინსტრუმენტი - გრძელვადიანი რეფინანსირების სესხი, რომელიც გაიცემა თუ ადგილი აქვს პრობლემას, ხდება მისი გაცხადება და რესურსის რამოდენიმე წლით გამოყოფა.

ამ გზით მოხდა აშშ-ში ტოქსიკური აქტივების პროგრამის ნაწილის ამოქმედება და მთელი რიგი ბანკის გადასარჩენად რამოდენიმე ტრილიონი აშშ დოლარის გრძელვადიანი სესხის გამოყოფა. ანალოგიურად მოიქცა ევროპის ცენტრალური ბანკი საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, რიგი ფრანგული და ბელგიური ბანკის დასახმარებლად მან ჯამში 2 ტრლნ ევრო გამოყო. (სულ მიმოქცევაში კი 11 ტრილიონი ევროს მასაა). ანალოგიურად მოიქცა უკრაინა, როდესაც რიგი გადახდისუუნარო ბანკის ნაციონალიზაცია მოახდინა (მაგ პრივატბანკი), რამაც რეფინანსირების სესხის ოდენობა მთელ ფულად მასასთან 20 პროცენტამდე აწია უკრაინაში. ეს არის მრავალწლიანი სესხი რთული პრობლემების გადასალახავად.

საქართველოში კი, სადაც მსგავსი რამ არ ფიქსირდება, მოკლევადიანი რეფინანსირების სესხის მოცულობა 25% აჭარბებს, ხოლო დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ჩათვლით კი ეს მაჩვენებელი 40% ადის!

გარდა ამ ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტისა - ერთკვირიანი რეფინანსირების სესხისა - ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა ერთთვიანი რეფინანსირების სესხი, რომელიც გალარების

პროგრამაზე იყო გათვლილი. გალარდა მხოლოდ 200 მლნ. ლარი, თუმცა კომერციული ბანკების მიერ არ მომხდარა ჭარბად გაცემული 200 მლნ ლარის დაბრუნება და კვლავ ეს 400 მლნ ლარის რეფინანსირება უკვე პროგრამის დასრულებისთანავე არ დაფარულა და მის მისაღებად ყოველ აუქციონზე მოტხოვნა მატულობს - ბოლო აუქციონზე 400 მლნ სესხებისათვის თითქმის 900 მლნ ლარის მოთხოვნა დაფიქსირდა!

ანუ კითხვა რას გაგვაჩნია ეროვნული ბანკის მიმართ არის შემდეგი სად მიაქვთ ეს ლარის რესურსი (სხვაობა 300 მლნ ლარისა და 2 მლრდ ლარს შორის) და რისთვის იყენებენ მას კომერციული ბანკები?

ფაქტია, რომ გაზდრილი და არაუზრუნველყოფილი ლარის მასა (დაკარგული შენახვის ფუნქციის ფონზე) გადის მიმოქცევაში და ნეგატიურად მოქმედებს ლარის კურსზე და ასევე ზრდის ფასები დონეს - ანუ ადგილი აქვს ინფლაციას.

ეროვნული ბანკის ზოგადი განცხადების თანახმად არსებობს რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნის ზრდის სამი მიზეზი:

- 1) სამთავრობო ოპერაციები;
- 2) მსხვილი ტრანზაქციები სავალუტო ბაზარზე.
- 3) ნაღდი ფულით საბანკო არხების უზრუნველყოფა;

ამ მხრივ ჩატარებული ანალიზით დგინდება, რომ ფინანსთა სამინისტროს, მისი შემოსავლების სამსახურის სანიმუშო საქმიანობის შედეგად სახეზეა შემოსავლების გეგმის გადაჭარბება და ამჟამად (სტაბილურად მესამე თვე) სახაზინო ნაშთი შეადგენს 850 – 1050 მლნ ლარს. ანუ მიღებული შემოსავალი ბევრად აღემატება ხარჯს და ეს არგუმენტი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია - ფინანსთა სამინისტროს აქვს პროფიციტი და ის არ საჭიროებს ამ ეტაპზე რაიმე სახის „დაფინანსებას“ რეფინანსირების სესხის ზრდის სახით. პირიქით, რომ არა ფინანსთა სამინისტროს მიერ ასეთ მაღალ დონეზე წარმოებული საბიუჯეტო დისციპლინა, ლარის კურსის ამჟამინდელი სტაბილიზაცია/გამყარება შეუძლებელი იქნებოდა.

ბოლო რამოდენიმე თვეა არც რაიმე მსხვილი სავალუტო ტრანზაქციები მომხდარა ბაზარზე (შერწყმა/ინვესტიცია თუ სხვა რამ). ასე რომ ეს მეორე არგუმენტიც აზრს მოკლებულია. როგორც ჩანს მესამე არგუმენტის ბუნდოვან განმარტებაშია ჩადებული სავარაუდო მიზეზი. ლარის მასა - მ0 - არ გაზრდილა და ის სტაბილურად 2,8 მლრდ ლარის ფარგლებშია. ამავე დროს, რეფინანსირების სესხის სარგებლობის პროცენტის ზრდის ფონზე ადგილი აქვს საბანკო ოლიგოპოლიის მხრდიდან ამ სესხზე აჟიოტაჟურ მოთხოვნას. თუ პროცენტის 6.5 – 6.75 მონაკვეთში რეფინანსირების სესხი და მასზე მოთხოვნა იყო საკმაოდ

დიდი, თუმცა სტაბილურად 1,5 – 1,7 მლრდ ლარს შეადგენდა, პროცენტის ზრდის ფონზე მასზე მოთხოვნამ მკვეთრად იმატა?!

ანუ ელემენტარული ლოჰიკით, თუ საქონლის ფასი იზრდება, მასზე მოთხოვან კლებულობს, თუ სხვა რამე გარე და მძლავრი ფაქტორი არ არის. რეფინანსირების სესხზე კი პროცენტის ზრდის ფონზე მასზე მოთხოვნამ წინა აუქციონებთან შედარებით იმატა 500 – 800 მლნ ლარით! და რაც ყველაზე საინტერესოა ბანკებმა რესურსი არა 7% არამედ 7,25 % წლიურშიც კი ისესხეს...რა თქმა უნდა საბოლოო ჯამში ეს გამვირებული რესურსი და მისი მომსახურება ყოველი ჩვენთაგანის გადასახდელია...

ფაქტი სახეზეა - რეფინანსირების სესხზე პროცენტის აწევამ არ იქონია ეფექტი ბაზარზე და ამ ინსტრუმენტმა არ იმუშავა, რაც ფულად ბაზარზე არსებულ ქაოტური მდგომარეობის ელემენტის მანიშნებელია

ანუ სახეზეა - ლარის ნაღდი ფულის მასა არ იზრდება, ბიუჯეტში პროფიციტია, მსხვილ სავალუტო ტრანზაქციებს (ბანკების შერწყმა და მსგავსი) ადგილი არა აქვს, მარა ლარზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება

რაშია საქმე? ამაზე პასუხისგან ეროვნული ბანკი თავს იკავებს და მხოლოდ ვარაუდებისა და მსჯელობის დონეზე ვრჩებით - არის ეს თუ არა ამ წელს გადასახდელი საგარეო ვალების გამო, სპეკულაციას აქვს ადგილი თუ რაიმე სხვა მოვლენას.

ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ეს პროცესი ინფლაციაში ანუ გამვირებულ საქონელსა და დაკლებულ საოჯახო შემოსავალში უკვე გამოიხატა.